ВЫСТУПЛЕНИЕ ДЕПУТАТА ГАМКРЕЛИДЗЕ Т. В. НА СЪЕЗДЕ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР ПО ВОПРОСУ ТРАГИЧЕСКИХ СОБЫТИЙ 9 АПРЕЛЯ 1989 Г. В ТБИЛИСИ (Москва, 30 мая 1989 г.)*

Уважаемые товарищи депутаты!



В своем выступлении я хочу коснуться событий, вопрос о которых в той или иной форме неоднократно ставился на нашем Съезде. Съезд, собственно, и начался с того, что почтил память невинных жертв событий 9 апреля 1989 года в Тбилиси. И это не случайно. Тбилисская трагедия потрясла всех и явилась страшным ударом по общечеловеческим ценностям, о которых так много говорится на нынешнем Съезде, ударом, социальные и политические последствия которого трудно сейчас предугадать.

Я коснусь вопросов, которые затрагивают саму основу того нового курса нашего государства, называемого “перестройкой”, “обновлением”, “демократизацией”, “гласностью”, от осуществления которого в конечном счете зависят форма и характер дальнейшего существования нашей многонациональной страны и, возможно, всей нашей планеты.

Я коснусь трагических событий 9 апреля в Тбилиси и постараюсь дать толкование этим событиям с точки зрения функционирования правового механизма в нашем государстве, с точки зрения действующего конституционного права.

Нужно выявить всю правду и сказать ее до конца. Только в таких условиях можно получить некоторую правовую гарантию неповторения где бы то ни было подобных трагических событий в будущем.

Стране и всей международной общественности стало известно, что 9 апреля текущего года в 4 часа утра под предлогом разгона несанкционированного митинга и мирной демонстрации в Тбилиси было совершено беспрецедентное по своей жестокости массовое избиение невинных людей, повлекшее за собой человеческие жертвы. Митинг, на который собралось до десяти тысяч человек, был мирным, без применения насилия и без призывов к насилию. Когда на площади перед Домом правительства без всякого предупреждения появились танки и бронетранспортеры, предчувствовавшие опасность люди стояли с зажженными свечами, пели старинные песни, молились. Всю эту картину можно точно и во всех деталях восстановить по имеющимся видео- и фотоматериалам, по многочисленным свидетельским показаниям пострадавших и других участников митинга. (Насколько мне известно, эти видеоматериалы будут сегодня показаны здесь в семь часов).



---

* **СЪЕЗД НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР**. ***БЮЛЛЕТЕНЬ № 6***, Часть II, **Москва**, **30 мая 1989 г**. **«Первый Съезд Народных Депутатов СССР**, **25 мая – 9 июня 1989 г.»**. ***Стенографический Отчет***, **т. I**, **Москва**, 1989, ***стр. 517-522***.

Воинскими частями наряду с дубинками были применены саперные лопаты и отравляющие химические вещества, о чем было официально заявлено на специальной комиссии Министерства здравоохранения Грузинской ССР, в работе которой принимали участие и эксперты из Москвы и Ленинграда, а позднее также и приглашенные к нам международные эксперты, врачи и токсикологи из Швейцарии, ФРГ, Франции, Соединенных Штатов Америки.

Эта военная операция, которой руководил командующий войсками Закавказского военного округа генерал-полковник Родионов, задумывалась, очевидно, не как операция по разгону мирного митинга, а как заранее запланированная карательная операция по уничтожению людей, ибо перед началом операции не было предупреждающих призывов или действий со стороны карателей. Солдаты блокировали проходы, окружали граждан и наносили им удары дубинками и саперными лопатами, не щадили лежавших там голодающих, девушек и престарелых женщин, врачей и работников Красного Креста, преследовали убегающих, добивали раненых, вырывая их из рук медицинского персонала, наносили удары и работникам местной милиции, которые, выполняя свой служебный долг, спасали жизнь граждан.

По официальным сведениям, на месте трагедии погибло шестнадцать человек, четырнадцать из которых – женщины. Старшей из них семьдесят, младшей – пятнадцать лет. Трое скончались в больнице.

Позднее центральная и военная пресса и даже “Пионерская правда” писали об этом, что грузинские мужчины-де убивали своих собственных женщин и детей, а солдаты их, видите ли, старались спасти и защитить от нападения их же разъяренных мужчин. Вообще возмутительно то, что средства массовой информации, в особенности центральная пресса и телевидение, программа “Время”, освещали события ложно и тенденциозно,

утверждая, что люди стали якобы жертвой непонятно каким образом “возникшей давки”. Все это поражает своей некомпетентностью и примитивностью.

Особо потрясает факт применения против демонстрантов отравляющих химических веществ. Все это несовместимо с моральными и правовыми нормами, принятыми в цивилизованном обществе, и должно рассматриваться как преступление по отношению к собственному народу и человечности вообще. Преступлением было применение отравляющих химических веществ, но не меньшим преступлением – сокрытие этого факта в течение длительного времени, что повлекло за собой осложнение состояния или гибель отравленных газом жертв, которым не могла быть своевременно оказана соответствующая медицинская помощь. Более того, скрыв факт применения отравляющих химических веществ и не проведя своевременно дегазацию района действия карательных отрядов, военные власти способствовали тем самым дальнейшему массовому отравлению людей, в особенности детей и подростков, в течение двух-трех недель после трагических событий 9 апреля. Военные власти по понятной причине долго и упорно отказывались признать факт применения отравляющих химических веществ. Применение так называемой “Черемухи” – слезоточивое вещество хлорацетофенон – было признано только 14 апреля, а использование печально известного по Вьетнаму сильнодействующего отравляющего вещества Си-Эс – лишь к концу месяца, и то под настойчивым давлением общественности и народных депутатов из Москвы, Киева, Саратова.

Зарубежными экспертами-токсикологами недавно установлено наличие среди примененных химических отравляющих веществ еще одного сильнодействующего удушающего яда – хлорпикрина, который применялся в первую мировую войну.

Отсутствие с самого начала у врачей информации о составе и структуре отравляющих веществ крайне затруднило лечение, вызвало всеобщее возмущение и негодование среди населения. Большая группа пострадавших объявила по этому поводу голодовку.

В результате расследования выяснилось, что химические отравляющие вещества были применены не только на площади перед Домом правительства, но и на прилегающих территориях. Солдаты забрасывали ядовые капсулы в здания, где люди скрывались от преследования.

На сегодняшний день с признаками отравления в медицинские учреждения обратилось свыше 3.500 человек, из которых на стационарном лечении находится до 500, некоторые все еще в тяжелом состоянии. Эти данные подтверждаются

представителями международного Красного Креста, группой экспертов из США – “Врачи за права человека”, экспертов из Франции – “Врачи без границ”.

Не менее трагично развивались события и после 9 апреля. Введение в Тбилиси комендантского часа, о чем населению города было сообщено за несколько минут до его вступления в силу, повлекло за собой тяжкие последствия. Через полчаса после объявления комендантского часа молодой человек был убит выстрелом в упор через ветровое стекло в машине, несколько человек было ранено, в том числе двенадцатилетний мальчик, катавшийся на велосипеде.

Отрицательные последствия трагических событий 9 апреля отмечаются и по сей день, в особенности среди детей и подростков, у которых зарубежными экспертами зафиксирован синдром так называемой “массовой психогенной реакции на катастрофу”.

Мы констатируем исключительно высокий уровень напряженности в республике, которая в любой момент может вылиться в различные непредсказуемые действия. Только полная гласность и наказание виновных могут предотвратить катастрофическое воздействие этой трагедии на поведение и моральное состояние наших сограждан на всей территории страны.

Трагедия 9 апреля в городе Тбилиси и ее последствия воспринимаются всем грузинским народом как всеобщее национальное бедствие, значение которого выходит за национальные рамки и затрагивает общечеловеческие принципы прав и свобод народов.

Как это могло случиться, что в правовом социалистическом государстве разыгрываются трагические события в нарушение основных конституционных прав народа и общепризнанных принципов человечности? В трагедии 9 апреля в Тбилиси проявилась полная несостоятельность ныне действующего в СССР правового механизма, при котором не только судьбы людей, но и судьба всей республики может оказаться под ударом безответственных реакционных сил, враждебных процессу демократизации и прогресса. Понимают ли люди, дающие приказ об использовании отточенных лопат и отравляющих химических веществ против мирных демонстрантов, что они убивают тем самым душу целого поколения, всего народа и наносят непоправимый удар по межнациональным отношениям, удар, отрицательные последствия которого трудно переоценить?

Правовой анализ законности принятых партийными, советскими и военными ведомствами решений по событиям в Тбилиси 9 апреля не оставляет сомнения в том, что у нас зачастую безответственно нарушаются суверенные конституционные права народов и что процесс формирования правового государства в нашей стране все еще находится в зачаточном состоянии. Мы призываем к открытому, гласному и ответственному расследованию этой кровавой бойни в Тбилиси, последствий этого “кровавого воскресенья” 9 апреля

1989 года, к выявлению истинных виновников этого преступления и их наказанию, даже если они относятся к высшим эшелонам военной и политической власти.

Безнаказанность виновных будет воспринята всей общественностью как всевластие высшего партийного аппарата и военного командования. Нужно дать политическую оценку имевшим место событиям. Планируемая акция такого масштаба, с такими политическими последствиями, должна была быть заранее известна высшему руководству страны.

Генерал-полковник Родионов в оправдание проведенной карательной операции 9 апреля в Тбилиси ссылается на печально известный Указ Президиума Верховного Совета СССР от 28 июля 1988 года "Об обязанностях и правах внутренних войск МВД СССР при охране общественного порядка". Трагические события в Тбилиси воочию показали, насколько опасен этот "Указ" при его произвольном толковании, и поставили в порядок дня насущную необходимость его пересмотра или даже полной отмены, как, впрочем, и некоторых других законодательных актов, например, от 8 апреля, поразительным образом совпадающего по времени с трагическими событиями 9 апреля в Тбилиси. С этим, в частности, связан и вопрос о правовом статусе так называемых частей "особого назначения", а фактически специализированных частей, как их называют в народе, профессиональных убийц, которые при проведении тбилисской операции выделялись особой жестокостью и бесчеловечностью.

В процессе расследования трагедии 9 апреля и последующего периода проявилась и неблаговидная роль в этих событиях второго секретаря Центрального Комитета Компартии Грузии Бориса Никольского, даже не явившегося на комиссию Верховного Совета Грузинской ССР по расследованию событий 9 апреля. В связи с этим мне представляется целесообразным поставить здесь, на Съезде народных депутатов СССР, и вопрос о роли и функциях вообще так называемого "второго секретаря" в союзных республиках, посылаемого и назначаемого из центра.

Практика создания подобного института "наместничества" связана со временем "застоя" или даже с предшествующим периодом и не может быть оправдана в нынешних условиях политических реформ и возрастания суверенности в союзных республиках. Эти люди, как правило, не знакомы с национальными традициями, культурой и языком коренного населения республики, что вызывает недовольство широкой общественности и недоверие народа к такому руководителю. Представляется, что подобный институт "наместников" является анахронизмом в нынешних условиях и он должен быть упразднен. Все руководство союзной республики должно избираться исключительно из местного населения, с учетом национальных чувств и национального достоинства населяющих республику народов.

Проявлением высшего цинизма, оскорбляющего

национальное чувство всего населения нашей республики, является, например, то, что генерал-полковник Родионов все еще восседает на Съезде народных депутатов СССР как избранник и представитель грузинского народа, несмотря на то, что его избиратели уже выразили ему как депутату недоверие и отозвали его в соответствии с действующей Конституцией. (*Шум в зале*). Генерал-полковник Родионов не имеет ни морального, ни юридического права оставаться народным депутатом СССР от Грузии. Народный депутат СССР должен все же осознавать, что он избранник народа и защитник его интересов, а не его каратель. (*Аплодисменты*).

Заканчивая свое выступление по поводу трагических событий в Тбилиси и их тяжких последствий для всего грузинского народа, я хочу привести слова Католикоса Патриарха Всея Грузии святейшего и блаженнейшего Ильи II, сказанные им в беседе с членом комиссии по расследованию событий 9 апреля академиком А. Д. Сахаровым: “Случилось так, что именно грузинский народ взвалил на себя этот тяжелый крест и избавил тем самым другие народы от подобных тяжких испытаний. Такое нигде и никогда не должно больше повториться”. **(*Аплодисменты, часть депутатов встает*)**.

დეპუტატ თ. ვ. გამყრელიძის გამოსვლა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1989 წლის 30 მაისს*



პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

ჩემს გამოსვლაში მინდა შევეხო მოვლენებს, რომელთა შესახებ საკითხი ამა თუ იმ ფორმით არაერთგზის დასმულა ჩვენს ყრილობაზე. ყრილობა, არსებითად, სწორედ იმით დაიწყო, რომ პატივი სცა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბების უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას. ეს შემთხვევითი არ არის. თბილისის ტრაგედიამ შეძრა ყველა და ლახვარი ჩასცა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებზეც ამდენს ვლაპარაკობთ ახლანდელ ყრილობაზე, ჩასცა ლახვარი, რომლის სოციალური და პოლიტიკური შედეგების განჭვრეტა ახლა ძნელია.

მე შევეხები საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ჩვენი სახელმწიფოს იმ ახალი კურსის თვით საფუძველს, რომელსაც ეწოდება "გარდაქმნა", "განახლება", "დემოკრატიზაცია", "საჯაროობა", რომლის განხორციელებაზე, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის და, შესაძლოა, მთელი ჩვენი პლანეტის შემდგომი არსებობის ფორმა და ხასიათი.

მე შევეხები თბილისში 9 აპრილს მომხდარ ტრაგიკულ ამბებს და შევეცდები განვმარტო ეს ამბები ჩვენს სახელმწიფოში სამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით, მოქმედი კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით.

უნდა გამოვააშკარაოთ მთელი სიმართლე და ვთქვათ იგი ბოლომდე. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მივიღოთ ერთგვარი სამართლებრივი გარანტია იმისა, რომ მომავალში ამგვარი ტრაგიკული მოვლენები აღარსად განმეორდება.

ჩვენმა ქვეყანამ და მთელმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ შეიტყო, რომ მიმდინარე წლის ცხრა აპრილს დილის 4 საათზე თბილისში უსანქციო მიტინგისა და მშვიდობიანი დემონსტრაციის გარეკვის საბაბით მოხდა უდანაშაულო ადამიანთა უპრეცედენტოდ სასტიკი მასობრივი დარბევა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. მიტინგი, რომელზეც ათი ათასამდე კაცი შეიკრიბა, იყო მშვიდობიანი, სადაც არ გამოუყენებიათ ძალადობა და არ ყოფილა ძალადობის ნიშნები, როცა მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე სრულიად გაუფრთხილებლად გამოჩნდნენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ხალხი, რომელიც გრძნობდა საშიშროებას, ანთებული სანთლებით იდგა, მღეროდა ძველ სიმღერებს და ლოცულობდა. მთელი ამ სურათის ზუსტად, ზედმიწევნით დეტალურად აღდგენა შეიძლება არსებული ვიდეო- და ფოტომასალებით, დაზარალებულთა და მიტინგის სხვა მონაწილეთა, მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებით (რამდენადაც ვიცი, ამ ვიდეომასალებს უჩვენებენ დღეს შვიდ საათზე).

---

* *თბილისი*, 1989 წ. 1 ივნისი;
კომუნისტი, 1989 წ., 1 ივნისი.

ჯარის ნაწილებმა ხელკეტებთან ერთად გამოიყენეს მესანგრის ხელბარები და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებანი, რაც ოფიციალურად განაცხადეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალურ კომისიაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოველი და ლენინგრადელი ექსპერტებიც, ხოლო მოგვიანებით აგრეთვე შვეიცარიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩვენთან მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, ექიმები და ტოქსიკოლოგები.

ეს სამხედრო ოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული იყო არა როგორც მშვიდობიანი მიტინგის გარეკვის ოპერაცია, არამედ წინასწარ დაგეგმილი სადამსჯელო ოპერაცია ხალხის გასაჟლეტად, რადგან ოპერაციის დაწყების წინ არ ყოფილა დამსჯელთა მხრივ გამაფრთხილებელი მოწოდებები ან მოქმედება. ჯარისკაცებმა ჩაკეტეს გასასვლელები, ალყაში მოაქციეს მოქალაქეები და ხელკეტებსა და მესანგრის ხელბარებს ურტყამდნენ მათ, არ ინდობდნენ იქ მწოლიარე მოშიმშილეებს, ქალიშვილებსა და ხანში შესულ ქალებს, ექიმებსა და წითელი ჯვრის მუშაკებს, მისდევდნენ გაქცეულებს, ხოცავდნენ დაჭრილებს, რომლებსაც ხელიდან გლეჯდნენ სამედიცინო პერსონალს, ურტყამდნენ ადგილობრივი მილიციის მუშაკებსაც, რომლებიც, ასრულებდნენ რა თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, ცდილობდნენ გადაერჩინათ მოქალაქეები.

ოფიციალური მონაცემებით, ტრაგედიის ადგილას დაიღუპა თექვსმეტი ადამიანი, რომელთაგან თოთხმეტი ქალია, მათ შორის უფროსი – სამოცდაათი, უმცროსი – 15 წლისა. სამი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოგვიანებით ცენტრალური და სამხედრო პრესა და „პიონერსკაია პრავდაც“ კი წერდნენ, ქართველი მამაკაცები თავიანთ საკუთარ ქალებსა და ბავშვებს ხოცავდნენო, ხოლო ჯარისკაცები თურმე ცდილობდნენ გადაერჩინათ და დაეცვათ ისინი თავიანთი გააფთრებული მამაკაცების თავდასხმებისაგან. საერთოდ, აღმაშფოთებელია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ცენტრალური პრესა და ტელევიზია, პროგრამა "ვრემია" მოვლენებს ყალბად და ტენდენციურად აშუქებდნენ და ამტკიცებდნენ, თითქოს ხალხი სრულიად გაუგებრად "წარმოშობილმა ჭყლეტამ" იმსხვერპლა. ყოველივე ეს გვაოცებს თავისი არაკომპეტენტურობითა და პრიმიტიულობით.

განსაკუთრებით გვზარავს დემონსტრანტთა წინააღმდეგ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი. ყოველივე ეს შეუთავსებელია ცივილიზებულ საზოგადოებაში მიღებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან, უნდა მივიჩნიოთ დანაშაულად საკუთარი ხალხისა და, საერთოდ, ადამიანობის წინაშე. დანაშაული იყო მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, მაგრამ არანაკლები დანაშაული იყო ისიც, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ ფაქტს მალავდნენ, რასაც მოჰყვა გაზით მოწამლულ მსხვერპლთა მდგომარეობის გართულება

ან დაღუპვა, რომლებსაც დროულად ვერ გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება. უფრო მეტიც, სამხედრო ხელისუფლებმა, რომლებმაც დამალეს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი და დროულად არ განახორციელეს დამსჯელი რაზმების მოქმედების რაიონის დეგაზაცია, ამით ხელი შეუწყვეს ადამიანთა, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა შემდგომ მასობრივ მოწამვლას 9 აპრილის ტრაგიკული ამბებიდან ორი-სამი კვირის მანძილზე. სამხედრო ხელისუფალნი გასაგები მიზეზების გამო დიდხანს ჯიუტად უარს ამბობდნენ ეცნოთ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი. ეგრეთ წოდებული "ჩერიომუხას" — ცრემლსადენი ნივთიერების ქლორაცეტოფენონის — გამოყენება ცნეს მხოლოდ 14 აპრილს, ხოლო ვიეტნამში საძრახისად ცნობილი ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების სი-ეს-ის გამოყენება — მხოლოდ თვის დამლევს, ისიც საზოგადოებრიობისა და მოსკოვის, კიევის, სარატოვის სახალხო დეპუტატთა მტკიცე ზემოქმედებით.

ახლახან უცხოელმა ტოქსიკოლოგმა ექსპერტებმა დაადგინეს გამოყენებულ ქიმიურ მომწამვლელ ნივთიერებებს შორის კიდევ ერთი ძლიერმოქმედი მხუთავი შხამის — ქლორპიკრინის არსებობა, რომელიც გამოყენებული იყო პირველ მსოფლიო ომში.

იმან, რომ ექიმებს თავიდანვე არ ჰქონდათ ინფორმაცია მომწამვლელი ნივთიერებების შედგენილობისა და სტრუქტურის შესახებ, უაღრესად გააძნელა მკურნალობა, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება და გულისწყრომა მოსახლეობაში. მოწამლულთა დიდმა ჯგუფმა ამის გამო შიმშილობა გამოაცხადა.

გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი გამოუყენებიათ არა მარტო მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე, არამედ ახლო-მახლო ტერიტორიებზეც. ჯარისკაცები შხამიან კაფსულებს ისროდნენ შენობებში, სადაც დევნილი ხალხი თავს აფარებდა. დღეისათვის მოწამვლის ნიშნებით სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3.500-ზე მეტმა კაცმა, რომელთაგან სტაციონარულ მკურნალობას გადის 500-მდე კაცი, ზოგიერთის მდგომარეობა ჯერ ისევ მძიმეა. ეს მონაცემები დაადასტურეს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა, ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფმა — "ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლმა ექიმებმა", ფრანგმა ექსპერტებმა — „ექიმებმა საზღვრების გარეშე".

არანაკლებ ტრაგიკულად ვითარდებოდა ამბები 9 აპრილის შემდეგაც. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებას, რაც ქალაქის მოსახლეობას ეუწყა ძალაში შესვლამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე, მძიმე შედეგები მოჰყვა. კომენდანტის საათის გამოცხადებიდან ნახევარი საათის შემდეგ ახალგაზრდა კაცს ტყვია დაახალეს და მოკლეს მანქანაში; რამდენიმე კაცი დაიჭრა, მათ შორის თორმეტი წლის ბიჭუნა, რომელიც ველოსიპედით დასეირნობდა.

9 აპრილის ტრაგიკული ამბების უარყოფითი შედეგები დღესაც შეინიშნება, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებს შორის, რომლებსაც უცხოელმა ექსპერტებმა დაუდგინეს ეგრეთ წოდებული "კატასტროფაზე მასობრივი ფსიქოგენური რეაქციის" სინდრომი.

ჩვენ აღვნიშნავთ რესპუბლიკაში დაძაბულობის განსაკუთრებით მაღალ დონეს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გადაიქცეს სხვადასხვაგვარ განუჭვრეტელ მოქმედებად. მხოლოდ სრულ საჯაროობასა და დამნაშავეთა დასჯას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ამ ტრაგედიის კატასტროფული ზემოქმედება ჩვენი თანამოქალაქეების ქცევასა და მორალურ მდგომარეობაზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარ ტრაგედიას და მის შედეგებს მთელი ქართველი ერი აღიქვამს როგორც საყოველთაო ეროვნულ უბედურებას, რომლის მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ეხება ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებების ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს.

როგორ მოხდა, რომ სამართლებრივ სოციალისტურ სახელმწიფოში დატრიალდა ტრაგიკული ამბები ხალხის ძირითადი კონსტიტუციური უფლებებისა და ადამიანურობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დარღვევით? თბილისში 9 აპრილს მომხდარმა ტრაგედიამ გამოავლინა ამჟამად სსრ კავშირში მოქმედი სამართლებრივი მექანიზმის სრული უსუსურობა, რომლის დროსაც არა მარტო ადამიანების, არამედ მთელი რესპუბლიკის ბედსაც კი შეიძლება დემოკრატიზაციისა და პროგრესის პროცესისადმი მტრულმა, უპასუხისმგებლო რეაქციულმა ძალებმა საფრთხე შეუქმნას. ესმით თუ არა იმ ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან დემონსტრანტთა წინააღმდეგ ორლესული ხელბარებისა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ბრძანებას იძლევიან, რომ ამით კლავენ მთელი თაობის, მთელი ხალხის სულს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ეროვნებათშორის ურთიერთობას, ზიანს, რომლის უარყოფითი შედეგები ძნელია გადაჭარბებით შეაფასო.

9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების შესახებ პარტიული, საბჭოთა და სამხედრო უწყებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების სამართლებრივი ანალიზი ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ჩვენში ხშირად უპასუხისმგებლოდ არღვევენ ხალხთა სუვერენულ კონსტიტუციურ უფლებებს და რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია. ჩვენ მოგიწოდებთ — დაუფარავად, საჯაროდ და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოიძიოთ თბილისში მომხდარი ეს სისხლიანი დარბევა, 1989 წლის 9 აპრილის ამ "სისხლიანი კვირის" შედეგები, გამოავლინოთ ამ დანაშაულის ნამდვილი ბრალეულნი და დასაჯოთ ისინი, თუნდაც სამხედრო და პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს განეკუთვნებოდნენ.

დამნაშავეთა დაუსჯელობას მთელი საზოგადოებრიობა აღიქვამს უმაღლესი პარტიული აპარატისა და სამხედრო სარდლობის ყოვლისშემძლეობად. პოლიტიკური შეფასება უნდა მიეცეს მომხდარ ამბებს. ასეთი მასშტაბის დაგეგმილი აქცია, რომელსაც ასეთი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, წინასწარ უნდა სცოდნოდა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა 9 აპრილს თბილისში განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციის გასამართლებლად

დაიმოწმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის სახელგატეხილი ბრძანებულება "საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოვალეობებისა და უფლებების შესახებ". თბილისში მომხდარმა ტრაგიკულმა ამბებმა თვალნათლივ დაგვანახა, რაოდენ საშიშია ეს "ბრძანებულება" თვითნებურად გაგების შემთხვევაში, და დღის წესრიგში დააყენა იმის აუცილებლობა, რომ იგი გადაისინჯოს ან საერთოდ გაუქმდეს, ისევე როგორც, სხვათა შორის, ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტიც, მაგალითად, 8 აპრილისა, რომელიც უცნაურად დაემთხვა დროის მხრივ თბილისში 9 აპრილს მომხდარ ტრაგიკულ ამბებს. ამას უკავშირდება, კერძოდ, ეგრეთ წოდებული "საგანგებო დანიშნულების" ნაწილების, ფაქტობრივად კი სპეციალიზებული ნაწილების, როგორც ხალხში უწოდებენ — პროფესიული მკვლელების სამართლებრივი სტატუსის საკითხი, რომლებიც თბილისის ოპერაციის დროს გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკითა და მხეცობით.

9 აპრილის ტრაგედიის და მომდევნო პერიოდის გამოძიების პროცესში გამოვლინდა ამ ამბებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბორის ნიკოლსკის საძრახისი როლიც, რომელიც არც კი გამოცხადებულა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 9 აპრილის ამბების გამომძიებელ კომისიაში. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია აქ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, აღვძრა საკითხი მოკავშირე რესპუბლიკებში საერთოდ ეგრეთ წოდებული "მეორე მდივნის" როლისა და ფუნქციების შესახებ, რომელიც ცენტრიდან იგზავნება და ინიშნება.

"მეფისნაცვლობის" ასეთი ინსტიტუტის შექმნის პრაქტიკა „უძრაობის" ხანას და წინა პერიოდსაც კი უკავშირდება და არ შეიძლება გამართლებული იყოს მოკავშირე რესპუბლიკებში პოლიტიკური რეფორმებისა და სუვერენიტეტის ზრდის ახლანდელ პირობებში. ეს ადამიანები, ჩვეულებრივ, არ იცნობენ ეროვნულ ტრადიციებს, რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის კულტურასა და ენას, რაც ფართო საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას და ასეთი ხელმძღვანელისადმი ხალხის უნდობლობას იწვევს. ჩემი აზრით, "მეფისნაცვლობის" ასეთი ინსტიტუტი ანაქრონიზმია ახლანდელ პირობებში და უნდა გაუქმდეს. მოკავშირე რესპუბლიკის მთელ ხელმძღვანელობას უნდა ირჩევდნენ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობიდან, რესპუბლიკის მოსახლე ხალხების ეროვნული გრძნობებისა და ეროვნული ღირსების გათვალისწინებით.

ჩვენი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ეროვნული გრძნობების შეურაცხმყოფელი უდიდესი ცინიზმის გამოვლინებაა, მაგალითად, ის, რომ გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი ჯერ კიდევ ზის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე როგორც ქართველი ერის რჩეული და წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ მას ამომრჩევლებმა უკვე გამოუცხადეს უნდობლობა როგორც დეპუტატს, და გაიწვიეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად. (*ხმაური დარბაზში*).

გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს არა აქვს არც მორალური, არც იურიდიული უფლება დარჩეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად საქართველოსაგან. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს მაინც უნდა ესმოდეს, რომ იგი ხალხის რჩეული და მისი ინტერესების დამცველია, და არა მისი დამსჯელი. (*ტაში*).

თბილისის ტრაგიკული ამბების და მთელი ქართველი ერისათვის მათი მძიმე შედეგების გამო ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა მოვიყვანო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის სიტყვები, ნათქვამი 9 აპრილის ამბების გამომძიებელი კომისიის წევრთან, აკადემიკოს ა. დ. სახაროვთან საუბარში: "*მოხდა ისე, რომ სწორედ ქართველმა ერმა იტვირთა ეს მძიმე ჯვარი და ამით იხსნა სხვა ერები ასეთივე დიდი უბედურებისაგან. ასეთი რამ არსად და არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს*" (*ტაში, დეპუტატთა ნაწილი ფეხზე დგება*).

ყრილობის ქართველ დეპუტატთა ერთი ჯგუფი